ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
„არასამეწარმეო იურიდიული პირი“.
წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქური“

მისამართი: ქ.წალენჯიხა, 5200,სალიას ქ. №3
ტელ 597 40-12-29 საიდენტიფიკაციო კოდი :442731340

18.09.2026წ.

კლუბის ფეხბურთის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია

სპორტის დახელოვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალგაზრდებში სპორტული უნარჩვევებისა და სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი ,,სქური“ ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს,რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა თაობის მაქსიმალური რაოდენობის ჩასაბმელად საფეხბურთო კლუბი წალენჯიხის ,,სქური“-ს პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის.

ფეხბურთის ცენტრის მიზანია ფეხბურთის ,როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე ხელშეწყობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენთათვის მატერიალურ- ტექნიკური და სამწვრთნელო ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი- სპორტული კლუბი ,,სქური“-ს მიზანია სწავლების დონემ და ხარისხმა თანამედროვე სტანდარტებს უპასუხოს და სწორად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომელსაც გვთავაზობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის მშენებლობა საძირკველიდან, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობიდან დავიწყოთ.ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზმომზადების როლს, ვარჯიშის სწორად დაგეგმვას. ზედმეტმა დატვირთვამ შასაძლოა მოზარდის შემდგომი განვითარება შეაფერხოს და საბოლოო ჯამში წერტილი დაუსვას მის კარიერას. ამიტომაც წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სამწვრთნელო ვარჯიშების სწორად დაგეგმარებისათვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქოლოგიის ცოდნა და ინდივიდუალური მიდგომა, აუცილებებლია მწვრთნელი იყოს დინამიური, საქმისადმი ერთგული და პოზიტიურად კონსტრუქციული პედაგოგი ანუ პიროვნება,რომელიც ყოველთვის დაეხმარება, მხარს დაუჭერს თავის მოთამაშეებს და იზრუნვებს მათზე, გააღრმავებს მათ მოტივაციას, ექნება შთაგონების უნარი. კვალიფიციური მწვრთნელი უნდა ფლობდეს საუბრის ხელოვნებას.იყო კარგი მწვრთნელი არ ნიშნავს მხოლოდ

გესმოდეს ფეხბურთი, ეს არც მხოლოდ ტალანტების განვითარება და მოგებებია - ეს არის იცნობდე მოზარდის ხასიათს.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზდა ფეხბურთელს ვაძლევთ სტიმულს და საშუალებას მაქსიმალურად იყვნენ ჩაბმულები სასკოლო განათლებაში ეროვნული კანონმდებლების შესაბამისად. ვარჯიშები იგეგმება სკოლისაგან თავისუფალ დროს.

ახალგაზრდული ფეხბურთის მიზანია ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისათვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დაძაბულ შეჯიბრებებში,სადაც მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. ფეხბურთის ცენტრის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა, ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მასშტაბით.

რეკომენდაციის შესაბამისად ა(ა)იპ წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრის დირექტორის ბრძანებით დანიშნული არის სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერი, რომელიც ასევე წარმოადგენს საკონტაქტო პირს სფფ-თან. ერთობლივად შემუშავებულია სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები:

1. **ანტირასისტული პოლიტიკა**
2. **გარემოს დაცვა**
3. **ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა**
4. **სტადიონზე ქცევის წესები**
5. **კლუბის პოლიტიკა თანასწორობისა და ჩართულობის შესახებ.**

ანტირასისტული პოლიტიკა

წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი ,,სქური"-ის ადმინისტრაცია ქმედით ღონიძიებას ატარებს რასისტულ ქმედებების წინააღმდეგ. ყოველი მატჩის წინ კეთდება განცხადება, რომ რასიზმი ან ნებისმიერი დისკრიმინაციული ქმედება არის დასჯადი.

სტადიონის პერიმეტრის თვალსაჩინო ადგილებში გამოფენილი არის სპეციალური გამაფრთხილებელი პლაკატები, ,,არა რასიზმს", ,,არა დისკრინიმაციას".

ყველა ფეხბურთელი გაფრთხილებული არის, რომ მიღებული იქნება მკაცრი დისციპლინალური ზომები რასისტულ გამოხტომებზე.

სტადიონზე არ დაიშვება რასისტული და დისკრიმინაციული პლაკატები, ხდება მათი ამოღება სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად.

ანტირასისტული ქცევების კომპანიის გაცნობიერების მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა სხვა და სხვა ჯგუფებთან, გულშემატკივრებთან, სკოლებში, ახალგაზრდულ კლუბებში და სხვა ორგანოებში.

გარემოს დაცვა

წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი ,,სქური“-ის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვითი პრობლემებს და მათ აღმოფხვრას. სისტემატურად ტარდება თემატური საუბრები, ბავშვების მიერ ბუნების უკეთ აღქმის მიზნით. მიმდინარეობს იმის ახსნა, რომ სუფთა გარემო და მისი დაცვა სხვა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან , არის ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მდგრადი გარმოს უზრუნველყოფა.

ხდება ორგანიზება ბავშვების მიერ ხეების დარგვისა და იმის ახსნა, რომ თითოეული ხე, მწვანე საფარი არის ჟანგბადი. ე.ი სუფთა ჰაერის გამოყოფის ერთადერთი წყარო არის ბუნება . ხდება ორგანიზება ბავშვების მიერ სათამაშო მოედნის და სტადიონის გარე პერიმეტრის დასუფთავება პოლიეთილენის ბოთლებისა და სხვა ნარჩენებისაგან.

ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა

ა(ა)იპ წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი ,,სქური“-ს ადმინისტრაციის მიერ ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის შემუშავებაში გამოყენებულია ა(ა)იპ საქართველოს ფედერაციის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი,(31,05,2021).

ა(ა)იპ წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრის გეგმა ასევე ითვალისწინებს ახლახან ჩამოყალიბებული ქალთა საფეხბურთო გუნდის სრულყოფას და განვთარებას, მათ ჩართვას სფფ-ს მიერ ორგანიზებულ თამაშებში

ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა მოიცავს უსაფრთხოების დაცვის ხუთ მიმართულებას, რომელიც ეფუძვნება ბავშვთა ინტრესების დაცვას. ეს მიზნები არის:

1.უსაფრთხოების დაცვის საფუძვლის შექმნა. პასუხისმგებლობა ეკისრება ა(ა)იპ-ის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა პირს, რომელთა სამუშაო ურთიერთობა აქვთ ფეხბურთის გუნდებთან.

2. ა(ა)იპ ფეხბურთის ცენტრი იღებს პასუხისმგებლობას გახადოს ფეხბურთი, როგორც უსაფრთხო ასევე პოზიტიური და სახალისო ყველა ბავშვისათის. ბავშვის უსაფრთხოება დაცული იქნება ზიანისაგან და ძალადობისგან. მიღებული იქნება მაქსიმალურად პრევენციული ზომები, კრიმინალური ქმედებების არ დაშვებაზე, სახელმძღვანელოდ იქნება მიღებული ბავშვთა უფლებების დაცვის საქართველოს კანონები ასევე გაეროს 1989 წკის კონვენსია, ა(ა)იპ -ის ყველა თანამშრომელი გაეცნობა თუ რას ნიშნავს ,,ზიანი“, ,,ძალადობა“. გაეცნობა ასევე ქმედების ყველა იმ ფორმას, რომელიც საფრთხეს უქმის ბავშვთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. უსაფრთხოების დაცვის რისკები ფეხბურთში სპეციალურია, ფიზიკური ტრამვები, შედეგების გაუმჯობესების მიზნით ბავშვებზე ზეწოლა, ჰიგიენური მოვლა,ესკურსიები ღამის დარჩენით, ახლო ურთიერთობები. თითოეული მუხლი განიხილება მწვრთნელებთან და სხვა დამხმარე პერსონალთან, ფიზიოთერაპევტი ექიმი, რომლებიც ფეხბურთის მნიშვნელვან და სასარგებლო

ნაწილს წარმოადგენენ, ფეხბურთის გარეთ ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს ბავშვთა უფლებების დარღვევას, რისკებს რასაც შეუძლია ფეხბურთის ფასეულობებისადმი ზიანის მიყენება, როგორიცაა მედიაში შეუფერებელი მასალების განთავსება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ფეხბურთის ცენტრი, სიფრთხილით განიხილავს ნებისმიერ შემთხვევას, დაგეგმილია მწვრთნელთა და სხვა პერსონალთა სწავლება, მიმდინარეობს შესაძლო რისკებისა და ფაქტების დაუყოვნებლივ განხილვა, უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა რომელიც მიღებულია, ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა რომელიც მიღებულია სფფს მიერ წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ა(ა)იპ ის წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრისათვის.მასში არსებული ნორმების მიხედვით ხდება ზრდასრული ადამიანების რაოდენობის განსაზღვრა ბავშვებზე ზედამხედველობის გასაწევად.

1.ზრდასრული პირი 13-18 წლის ასაკში 10 ბავშვი
2. ზრდასრული პირი 9-12 წლის ასაკში 8 ბავშვი
3. ზრდასრული პირი 5-8 წლის ასაკში 6 ბავშვი
4.ზრდასრული პირი 4 წლის ასაკში 3 ბავშვი

სტადიონზე ქცევის წესები

1 **არ შეძლება მატჩისა და მატჩის შემდეგ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სკანდირება.**

2 ***არ შეიძლება სტადიონზე,მაყურებლის მიერ ტრიბუნებზე,მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგნების სროლა.***

3 ***არ შეიძლება სტადიონზე მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება ტრიბუნებზე მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე***

4 ***არ შეიძლება მაყურებლის მიერ სტადიონზე ბანერების, პლაკატების, ტრანსფარატების და შეურაცხმყოფელი ხასიათის ლექსიკის შემცველი სხვა სამუალებების საჯარო დემონსტრირება.***

კლუბის პოლიტიკა თანასწორობისა და ჩართულობის შესახებ

საფეხბურთო კლუბი ,,სქური“-ს ადმინისტრაცია ერთგულია და ეთანხმება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოლიტიკას თანასწორობისა და ჩართულობის შესახებ. აღიარებს რომ ყველა პირს უნდა ჰქონდეს თანასწორობის უფლებები და შესაძლებლობები. სამწვრთნელო შტაბი თავისი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებებს გუნდისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. კლუბის წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას ახორციელებს თითოეული თანამშრომლის ჩართულობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით.

ა(ა)იპ წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი -
სპორტული კლუბის დირექტორი: / ნ.სახურაძე/

სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერი: /ე.ფიფია/